ურბანული გარემოს სივრცით მოწყობის თანამედროვე ტენდენციები (ქ.თბილისში გ.სააკაძის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მაგალითზე).

სტუდენტი ზვიად გიქოშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ბაკალავრიატი III კურსი,

ხელმძღვანელი მარიკა ფოჩხუა

არქიტექტურის დოქტორი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ბოლო წლებში თბილისში მიმდინარე იმ საქალაქთმშენებლო პროცესების კვლევასა და ანალიზს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ურბანული გარემოს სივრცით-გეგმარებითი მოწყობის თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბებას. მაგალითისათვის განხილულია გ. სააკაძის მოედნისა და მ. კოსტავას ჯ.შარტავას, ვ. ჭაბუკიანის ქუჩების ფრაგმენტის განაშენიანება. აღნიშნული ტერიტორიის ვიზუალური კვლევის საფუძველზე გამოვლენილია კონკრეტული გარემოს გეგმარებითი, ფუნქციური, მხატვრულ-ესთეტიკური და ლანდშაფტური დინამიკის ფაქტობრივი სურათი.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიმოიხილოს

ქალაქ თბილისის ურბანული გარემოს სივრცით მოწყობის თანამედროვე ტენდენციები ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძის-გ.სააკაძის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების მაგალითზე.

მოგეხსენებათ არქიტექტურა არის არა ცალკეულ შენობა-ნაგებობათა მხატვრულ-ესტეტიკური სახე, კომპოზიციური თუ სტილისტური მახასიათებელი, არამედ

საზოგადოებისათვის განკუთვნილი სივრცის სტრუქტურა, სივრცის ორგანიზაციის ხელოვნებაა, მისი ყველა საფეხურის თუ იერარქიული დონის ჩათვლით. დაწყებული ქალაქის გენგეგმიდან საცხოვრისამდე. ამიტომაა, რომ არქიტექტურა განსაზღვრავს, აყალიბებს ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს გემოვნებასა და ინტერესებს. ჩვენგან დამოუკიდებლად ხელოვნების არც ერთი დარგის წარმატება ან წარუმატებლობა ისე არ მოქმედებს ჩვენზე, როგორც არქიტექტურის. ეს სიტყვები დიდი ხნის წინ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ამოვიკითხე და მას მერე მუდამ მაინტერესებს თუ როგორ ყალიბდება ჩვენი გარემო, რასაც პროფესიულ წრეებში ურბანული გარემო ჰქვია.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად ბოლო წლებში თბილისი განუწყვეტლად იზრდება და ვითარდება. სახე იცვალა სააკაძის მოედანმაც. შეიცვალა მისი მიმდებარე ტერიტორია. საინტერესოა რა კუთხით მოხდა ეს ცვლილება? დაედო თუ არა საფუძვლად ამ პროცესს პროფესიონალთა გადაწყვეტილებისა და საზოგადოებრივი აზრის ერთობლიობის შედეგად დამუშავებული საპროექტო წინადადება ? (ესე როგორც ეს ხდება მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან ქვეყნებში სადაც ამ პროცესს საფუძველი ჯერ კიდევ მე19 ს-ში ჩაეყარა. პ. გედესის ნაშრომებს თუ გავიხსენებთ.))

საკვლევი გარემოს ვიზუალური ანალიზი ცხადჰყოფს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე როდესაც დადგა დღის წესრიგში ახალი მშენებლობების დაწყების საკითხი, იმთავითვე გაუთვალისწინებელი იყო ურბანული რეკონსტრუქციის ძიირითადი პრინციპები- **ადრე ჩამოყალიბებული გეგმარებითი სისტემის, ან მისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტების, სრულყოფისა და განვითარების მოთხოვნებით განპირობებული ცვლილებისაკენ მიზანმიმართული მოღვაწეობა.** ამ ყოველივემ განაპირობა მოსახლეობის ყოფა–ცხოვრებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების მოუხერხებელი ორგანიზაცია. რამაც განაშენიანებაში ქაოსი და მისი ფუნქციონირებისა თუ განვითარებისათვის ძნელად გამოსასწორებელი შეცდომები გამოიწვია. მაგალითად შარტავას ქუჩა



ზემომოყვანილი მაგალითები საფუძველს გვიქმნის დავასკვნათ, რომ დაახლოებით 2000 წლიდან მოყოლებული აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მშენებლობის უმართავ პროცესს (როგორც ვიცით მოქმედების ვადა გასული ჰქონდა ქალაქის გენერალურ გეგმას(1970)). კანონის არ არსებობამ ბუნებრივად განაპირობა უკანონო ქმედება. ძველი სამშენებლო ნორმები და წესები უარყოფილ იქნა, ახალი არ არსებობდა . ჩემი აზრით უწინარესად უნდა დამუშავებულიყო უკვე არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია ქალაქთმშენებლობის სფეროში. ტექნიკური ნორმატივები ხომ პრაქტიკულად არ იცვლება,

რადგან კლიმატური და ბუნებრივი მაჩვენებლები თითქმის იგივეა, რაც უწინ იყო. რაც შეეხება ქალაქის სოციალურ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფონს, მასში უდიდესი ცვლილებები მოხდა. გარდა ამისა შეიცვალა საზოგადოების მოთხოვნები, წაყენებული ქალაქის მიმართ და სწორედ ამიტომაც ლოგიკურად გამოიყურება დღევანდელი შედეგები. მივიღეთ უმართავი პროცესი- რეალობაა, რომელის ატანა ამ ტერიტორიის მოსახლეობას უხდება .

რა თქმა უნდა დადებითად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ძველი ბარაკების ადგილას აშენდა და შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები. ხიდიდან—ბინათმშენებლობის ამჟამინდელი პრაქტიკა , რომელიც ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში ხორციელდება, იგი ახალი მაღლივი შენობების უხეშად, უმასშტაბოდ ჩართვით ხასიათდება.

როგორც ფოტომასალა მეტყველებს, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ტერიტორიების ათვისება და განაშენიანება, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება. სურვილი იყო, რომ ჩამეტარებინა სოციოლოგიური გამოკითხვა აღნიშნული კუთხით, თუმცა ამ დროისათვის ეს ვერ მოხერხდა. მხოლოდ გავესაუბრე ამ უბნის მოსახლეობას, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ , რომ საბინაო პირობებით დაკმაყოფილებასთან ერთად აღინიღნება მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები:

1.სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გაუარესება.

2. ჰაერის დაბინძურება, გამოწვეული სატრანსპორტო საშუალებების კონცენტრაციით და ხმაურით.

3. განაშენიანებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდით, გამოწვეული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და დისკომფორტი.

ეს ტენდენცია ზოგადად დამახასიათებელია თბილისის სხვა საცხოვრებელი უბნებისთვისაც, თუმცა ამ კონკრეტულ ადგილას პრობლემათა მთელი რიგია თავმოყრილი.

ასე მაგალითად:

შარტავას ქუჩაზე უსახური ერთგვაროვანი განაშენიანების ფონზე საცხოვრებელი გარემოს ორგანიზაციის დაუმთავრებლობა მეტად ამძიმებს მდგომარეობას. სამშენებლო ტერიტორიები უყურადღებოდაა მიტოვებული. ამ მშენებლობებს, რომელთა ნაწილიც გაყინულია ახლავს ანტისანიტარიაც; არ ხდება „შენობების შეფუთვა," სამშენებლო ობიექტებიდან ნაგვისა და სამშენებლო ნარჩენების პერიოდული გატანა. მშენებლობების ის მხარე, რომელიც გადის გოთუას ქუჩაზე, იქცა ნაგავსაყრელად. ახალი მშენებლობების კიდევ ერთი უარყოფითი მხარე ისაა, რომ მათ შეცვალეს ადგილობრივი მიკროკლიმატი; შემცირდა გამწვანების კოეფიციენტიც. ის გამწვანებული ფერდობი, რომელიც უახლოეს წარსულში გვახსოვს გოთუასა და

შარტავას ქუჩებს შორის, ფაქტიურად აღარ არსებობს და რაც დარჩა არის დაბინძურებული.

ზოგიერთ შენობას იურიდიული მისამართი არ აწერია და საჭიროების შემთხვევაში რთულია საჭირო შენობის პოვნა.

მიუღებელია ავტოფარეხების ულაზათო მშენებლობა, რაც თავის დროზე არსებული კრიმინალური სიტუაციით იყო განპირობებული, გალიების არსებობა სადღეისოდ არაა აუცილებელი, თუმცა მათ დანგრევაზე არავინ ფიქრობს, ისინი მნიშვნელოვნად ამახინჯებენ შიდაკვარტალურ სივრცეს, ეზოებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის ცხოვრებისათვის საუკეთესო მატერიალური და სულიერი გარემოს შესაქმნელად გეგმარებით კომპოზიციასთან ერთად, მხატვრულ-ესთეტიკური საკითხები აქტუალურ პრობლემად ისახება.

ურბანული გარემოს მხატვრულ-ესთეტიურ ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ მოსახლეობა ფაქიზად ეპყრობა საკუთარს და უყურადღებოდ ექცევა საზოგადოებრივს;

ჩემი აზრით ქალაქი ჩვენი საცხოვრებელი ბინის კარიდან იწყება. სადარბაზო არის გარდამავალი ელემენტი საცხოვრებელსა და ქალაქურ გარემოს შორის და ის ყოველთვის სათანადოდ უნდა იყოს მოვლილი და პროექტირებისას გააზრებული.

მით უფრო, რომ ამის მდიდარი ტრადიცია თბილისს გააჩნია. გავიხსენოთ ძველი თბილისური სადარბაზოები უბნებში: სოლოლაკი, მთაწმინდა; შენდებოდა ლამაზი სადარბაზოები და ვესტიბიულები, დეკორატიული ელემენტებით. მოხატული მოზაიკური ფილებით, მრავალფეროვანი ვიტრაჟებით, მარმარილოს კიბეებითა და მოჩუქურთმებული კარებებით; ალბათ იმ დროს საზოგადოების განწყობაც სხვაგვარი იყო, წიმაარმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა ჩვენამდე მოღწეული ეს ყოველივე. თუმცა

ისევ მცირედი გადახვევა- დღეს ეს ყველაფერი შეუსწავლელი და მოუვლელია, რაც შეიძლება ერთი კვლევის საგანი გახდეს.

ისევ ჩვენს საკვლევ ტერიტორიას დავუბრუნდეთ და რეალობა კი ასეთია : შარტავას ქუჩა-საცხოვრებელი სახლების ჭუჭყიანი სადარბაზოები, ჩამტვრეული მინებით, დაზიანებული კიბეები, ლიფტები, საინჟინრო კომუნიკაციები.



2008 წლის 3 თებერვალიდან შრომის სასახლეს ფუნქცია შეეცვალა-მერიის ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები გადავიდნენ ახალ შენობაში, შარტავას ქუჩა № 7-ში. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა გარემო. შრომის სასახლეში თბილისის

მერიის გადმოტანამ საოცარი დისკომფორტი შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას. ერთი ათად გაიზარდა სატრანსპორტო ნაკადები, მიმართული შარტავას ქუჩისკენ, რომელსაც არ გააჩნდა არანაირი რესურსი ასეთი დატვირთვის გამკლავებისთვის. თავად შენობამ შეიძლება გაამართლა კიდეც ფუნქციის ასეთი ტრანსფორმაცია, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია, უახლოესი ეზოები, სააკაძის მოედნის ნაწილი გადიქცა ავტოსადგომად. დამძიმდა ეკოლოგიური მდგომარეობა, სანიტარულ ჰიგიენური პირობები, რითაც გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითი პირობები- მათ ფაქტიურად აღარ გააჩნიათ საზ. სივრცე.

რაც შეეხება ფუნქციას. მერიის გადმოტანას თან მოჰყვა ე.წ. საპროექტოების სიჭარბე. ქალაქის არცერთ უბანში არ არის ამდენი საპროექტო, ეს განპირობებულია მერიაში არქიტექტურის საქალაქო სამსახურის არსებობით. დამკვეთი იქვე, მერიასთან აკეთებინებს ნახაზს. არქიტექტორი, რომელიც ოდითგანვე შემომქმედი იყო ,გახდა შემსრულებელი ;მისი ფუნქცია დაკნინდა. ეს არ ეხება ჩვენს საკვლევ თემატიკას, თუმცა ჩემი აზრით საკითხი ძალზე პრობლემურია და მას გვერდს ასე გულგრილად ვერ ავუვლით. ეს საკითხიც შესაძლოა ცალკე მსჯელობის საგნად იქცეს-არქიტექტორის როლი თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს თემას- საინტერესოა ის ფაქტიც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ უბანში მსგავსი

ფუნქციების ობიექტების შემოტანა, როგორიც არის მერიის მოპირდაპირედ არსებული მცირე საპროექტო, რომელიც თავისი მასშტაბის და ფუნქციონირების მიხედვით რთულია აღვიქვათ საპროექტოდ. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მოედანზე არსებული სწრაფი კვების ობიექტები. გარემოს მოუწესრიგებლობის ნათელი მაგალითებია ასევე უმასშტაბო, გიგანტური რეკლამები–ბილბორდები



ასევე გ.სააკაძის დაღმართზე ახლად აღმოცენებული შემინული შენობები-ოფისები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საოფისე მოთხოვნებს თავიანთი სტანდარტებით. ამ შენობებმა დაფარეს პანორამა მტკვრის სანაპიროს, დინამოს

მოედნის მხარეს, რომელიც ეშლებოდა სააკაძის მოედნიდან ვახუშტი ბაგრატიონის ხიდისკენ მიმავალს.

 აქვე მინდა ცოტა ხნით შევჩერდე მინის შენობების არქიტექტურულ სახესთან, რომლებიც ვერც ტექნოლოგიურად, ვერც მხატვრული გამომსახველობით, ახლოსაც ვერ მივლენ ამ კუთხით უცხოურ გამოცდილებასთან, სადაც ძირითადად კიბერტექსტურის პრინციპებია დანერგილი. ესეც ცალკე საკითხია, რომელიც სპეციალური კვლევის საგანი შეიძლება გახდეს. კიბერტექსტურის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე შენობების მხატვრული სახის ფორმირებაში.

ტრანსპორტის საკითხი დღეს მეტად მწვავედ დგას მოცემულ უბანში; არასწორად დაგეგმილი სატრანსპორტო ქსელი ართულებს მოძრაობას გადატვირთულ გზებზე, რომლებიც არ იყო გათვლილი ამხლა დატვირთვისთვის. ხშირია ავტო-ავარიები. მერიის შენობასთან პარკირებისთვის გამოყოფილია ძალიან მცირე ადგილი, რამაც გამოიწვია მის სიახლოვეს არსებული ქუჩებისა და ეზოების გავსება მანქანებით. ხშირად ტროტუარიც არის გამოყენებული როგორც ერთგვარი პარკირების საშუალება. ეზოებში თითქმის აღარ დარჩა სივრცე, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლები და მათი ბავშვები შეძლებენ აქტიურ დასვენებას.გადაიტვირთა მიმდებარე ქუჩებიც, კერძოდ

ქუთათელაძის, იოსებიძისა და ბულაჩაურის ქუჩები. საყურადღებოა, რომ აქ (ქუთათელაძისა და იოსებიძის ქ-ზე) მდებარეობს 161-ე სჯარო სკოლა.

სპეციალური განხილვის საგანი უნდა გახდეს ქუჩაზე გადასასვლელელები



მოედანთან გათვალისწინებულია მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიწისქვეშა გადასასვლელებში ანტისანიტარიაა და ქუჩის მეორე მხარეს მოხვედრის მსურველს ურჩევნია მანქანის სავალ გზაზე გადავიდეს, ვიდრე ისარგებლოს ზემოხსენებული მიწისქვეშა გადასასვლელებით, შედეგად ერთმა გადასასვლელმა დაკარგა ფუნქცია და საზ. ტუალეტად არის ქცეული, (აქვე კიდევ ერთ-ერთი მნისვნელოვანი საკითხი არამარტო ამ ტერიტორიისათვის, არამედ მთლიანად ქალაქისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემა-საზოგადოებრივი ტუალეტების არ არსებობა ქალაქში) . მიწისზედა გადასასვლელი ხიდი, არ არის აღჭურვილი სათანადო პანდუსებით, დახრის კუთხე იმდენად დიდია, რომ სარგებლობა ფაქტიურად შეუძლებელია. ამდენად იგი სრულიად მიუწვდომელია საჭიროების მქონე პირთათვის.

საინტერესო ის ფაქტია, რომ თბილისის მერია, რომელიც უნდა ზრუნავდეს ამ პირებზე და უქმნიდეს მათ საარსებოდ თუ საკომუნიკაციოდ საჭირო პირობებს, თავად ხდება მიუწვდომელი მათთვის.

საჭიროების მქონე პირთა გარემოში ჩართვის და ინტეგრაციის პრობლემა განსაკუთრებით თვალნათლად ჩანს ამავე ქუჩაზე არსებულN198 სპეციალიზირებულ სკოლასთან.

თუნდაც ამ პატარა ფრაგმენტში ქალაქური გარემოს ვიზუალური ანალიზის ფონზე, შესაძლებელია განხილულ იქნეს განსხვავებული შესაძლებლობების პირთა ურბანულ გარემოში ინკლუზიური ჩართვისა და სრულფასოვანი ადაპტაციის პრობლემები. არქიტექტურული პროდუქცია არის ილუსტრაცია, საზოგადოების ფსიქიკური, მორალური წყობის, მისი შეხედულებების, ცხოვრების ყაიდასა და ქცევის წესზე. როგორი გარემო არის შექმნილი საჭიროების მქონე ბავშვებისათვის? ამ ფაქტზე თუნდაც ეს მცირერიცხოვანი ფოტოებიც მეტყველებს უკომენტაროდ. (კიდევ ერთი გადახვევა საკითხიდან- კერძოდ ქალაქში ფაქტიურად არ არსებობს სკოლები საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. ზემოხსენებულ სკოლაში საერთოდ ასეთი ბავშვების განათლების საკითხი როგორც მეცნიერულ ასევე პრაქტიკულ დონეზე დამუშავებას მოითხოვს).

ეს ტერიტორია საკმაოდ პრესტიჟულია, საკმაოდ ძვირი ; ბუნებრივია დამკვეთის სურვილი აითვისოს ძვირი და პრესტიჟული მიწა. როგორ და რა დოზით უნდა მომხდარიყო ეს? ეს საკითხი უკვე სახელმწ. ინსტრუმენტებით უნდა დარეგულირებულიყო. ეს უნდა იყოს პროფესიონალთა მიერ და საზოგადოებრივის აზრის ჩამოყალიბების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და არა კერძო პირის სურვილი. თუ რაიმე გვაკლია დღეს, ეს არის კანონი-კანონი სივრცის არქიტექტურული ორგანიზების და ამ კანონის შესაბამისი ქმედებები. ჩვენი ქალაქი ფასობს თავისი რელიეფით, სტრუქტურით, რაც ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული

საპროექტო გადაწყვეტების დროს. გენგეგმის არ არსებობა არის ერთ–ერთი მიზეზი, რომ დამკვიდრდა ე.წ. წერტილოვანი მშენებლობის მანკიერი პრაქტიკა. პროექტები იხილება და მტკიცდება მიმდებარე ტერიტორიების დეტალური დაგეგმარების პროექტების გარეშე. როგორც ვიცით, ქალაქი დინამიური სტრუქტურაა, ერთის ცვლილება იწვევს სხვა ნაწილების შეცვლას. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენს საკვლევ ტერიტორიებისათვის, სადაც იგნორირებულია არსებული გარემოს მხატვრულ–ესთეტიკური ხასიათი და შენობების მოცულობით–გეგმარებითი მასშტაბი, მათი შემდგომი დაგეგმარების მიზნით რეკომენდებულია, რომ დამუშავდეს დეტალური დაგეგმარების პროექტები , სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს მთლიანი უბნის განაშენიანების ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურა, საპროექტო ობიექტების გარემოსთან შეჯერებული მშენებლობის და მისაღები სართულიანობის მიზანშეწონილობა. ასეთი სახის პროექტები დასამტკიცებლად წარსადგენ სავალდებულო მასალების ჩამონათვალთა ნუსხაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

ქალაქთმშენებლობითი პოზიციები უნდა ითვალისწინებდნენ დასახლებული ადგილების ტერიტორიების დაგეგმარებისა და განაშენიანების ისეთ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრების, საზოგადოებრივი მომსახურეობის რაციონალურ ორგანიზაციას. როგორი ქალაქთმშენებლობითი პოზიციები ისახება ჩვენს პრაქტიკაში? ისეთები, რომლებიც უშვებენ არსებული დაგეგმარებისა და განაშენიანების პოზიციების შეცვლას პრინციპულად, პროფესიულად საზოგადოებრივი აზრის გვერდის ავლით.არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი პროგრესული გადაწყვეტების უგულებელყოფით.

ზოგადად ქალაქთმშენებლობის ერთ–ერთი პრიორიტეტული ამოცანაა თბილისში ახალი განაშენიანებისათვის ტერიტორიალური რეზერვის გამოვლენა, მათი მიზნობრივი გამოყენების შესაძლებლობის შეფასება და დადგენა. ამის განხორციელება შესაძლებელია უმოქმედო, ლიკვიდირებული ან ქალაქიდან გასატანი სამრეწველო და სასაწყობო ტერიტორიებით, ამორტიზირებული, თავდაცვის სამინისტროს

გამგებლობაში არსებული, საბჭოთა არმიიდან მემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიების გამოთავისუფლების ხარჯზე. და არავითარ შემთხვევაში გამწვანებულ ტერიტორიაზე და საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრით!

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შესაძლოა დავასკვნათ, რომ ამ კონკრეტულ უბანში მიმდინარე საქალაქთმშენებლო პროცესები ხორციელდებოდა ურბანული გარემოს სივრცით-გეგმარებითი მოწყობის პრინციპების გვერდის ავლით; რამაც საერთო ჯამში მოცემულ ტერიტორიაზე წარმოშვა გამოუსწორებელი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიასთან, კლიმატოლოგიასთან, სოციალურ და ქალაქგეგმარების სხვა უმნიშვნელოვანეს ასპექტებთან.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანის და მისი საარსებო სივრცის ურთიერთობა ორმხრივი პროცესია; ჩვენ ვცხოვრობთ და ვახდენთ ზემოქმედებას გარემოზე, რომელიც თავის მხრივ ზემოქმედებს ჩვენზე.

აღნიშნულ ნაშრომში გავეცანით თუ რამხელა ზიანი მიაყენა ქალაქს დაუგეგმავმა და გაუაზრებელმა განაშენიანებითმა პროცესმა; მაგრამ ძალიან ძნელია იმის

წარმოდგენა, თუ რა საფრთხე ელის ქალაქს, თუკი შენარჩუნდება ეს ტენდენცია მომავალშიც. ამიტომაც გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი და ვიზრუნოთ მასზე და ნურავის მივცემთ უფლებას წაართვას ამ ქალაქს ხვალინდელი დღე.